



შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სტიპენდიების და ფასდაკლებების დებულება

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 30/09/2016წ. გადაწყვეტილებით - ოქმი №11 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია
ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მომზადა:	იურიდიული სამსახური	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის საბჭო	
დაამტკიცა:	მმართველი საბჭო	

დოკუმენტის No: IBSU.R33G

ვერსია: 3.00

განახლების თარიღი: 29/03/2018

დამტკიცების თარიღი:

30/09/2016

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები.....	4
ცვლილებების ნუსხა.....	5
მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო.....	6
მუხლი 2. ტერმინები და შემოკლებები.....	6
მუხლი 3. ფასდაკლების გავრცელების ფარგლები.....	7
მუხლი 4. ფასდაკლებით სარგებლობის უფლების მქონე პირები.....	7
მუხლი 5. ფასდაკლებით სარგებლობის პირობები.....	9
მუხლი 6. ფასდაკლების გაუქმების საფუძვლები.....	9
მუხლი 7. სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და ფასდაკლების ერთად გამოყენების წესი.....	9
მუხლი 8. სტიპენდიის მიღების წესი.....	9
მუხლი 9. სადოქტორო პროგრამაზე უფასოდ სწავლის უფლების მოპოვების წესი.....	10
მუხლი 10. ფასდაკლების გამოყენების წესი.....	10
მუხლი 11. დასკვნითი დებულებები.....	10
მუხლი 12. ძალაში შესვლა.....	11
მუხლი 13. შესრულებაზე ხედამხედველობა.....	11

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.	მმართველი საბჭო	11	21.08.2017
2.	მმართველი საბჭო	1	11.01.2018
3.	მმართველი საბჭო	4	22.08.2018
4.	მმართველი საბჭო	4	29.03.2018

თავდაპირველი რედაქცია: 30.09.2016- #11

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	21.08.2017	4	ფასდაკლებით სარგებლობის მქონე პირების დამატების შესახებ.
02	11.01.2018	2	სოციალური გრანტის ცნება
03	11.01.2018	4	ფასდაკლებით სარგებლობის მქონე პირების დამატების შესახებ.
04	22.02.2018	9	სადოქტორო პროგრამაზე უფასოდ სწავლის უფლების მოპოვების წესი
05	29.03.2018	4	ფასდაკლებით სარგებლობის მქონე პირების დამატების შესახებ.

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

- 1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს იმ სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში „შსსუ“) სწავლის პერიოდში სარგებლობენ ფასდაკლებით, ადგენს ფასდაკლების ტიპებს, მისი გაცემის წესსა და გაუქმების პირობებს, აგრეთვე აწესრიგებს სტუდენტებისათვის სტიპენდიების გაცემის წესს და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინები და შემოკლებები

- 2.1 *სკოლა* - თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა, ბათუმის რ.შაჰინის მეგობრობის ლიცეუმი, რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა, მარნეულის დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა;
- 2.2 *შსსუ-ს სტუდენტი* - საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
- 2.3 *სკოლის თანამშრომელი* - სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი, პედაგოგი;
- 2.4 *შსსუ-ს თანამშრომელი* - აკადემიური და/ან ადმინისტრაციული პერსონალი;
- 2.5 *სკოლის/ შსსუ-ს თანამშრომლის მეუღლე* - რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე;
- 2.6 *შსსუ-ს კურსდამთავრებული* - შსსუ-ს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული;
- 2.7 *სახელმწიფო სასწავლო გრანტი* - სახელმწიფოს მიერ სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც ჩარიცხულია საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამაზე;
- 2.8 *სწავლის საფასურისგან გათავისუფლება* - უსასყიდლოდ სწავლა;
- 2.9 *ფასდაკლება* - 75%, 70%, 50%, 30%, 25%, 20% და 15% ფასდაკლება;
- 2.10 *შსსუ-ს უფასო ინგლისური ენის კურსები* - შსსუ-ს მიერ საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ინგლისური ენის კურსები. მოსწავლეები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს ზემოაღნიშნული კურსები, მიიღებენ განსაზღვრული რაოდენობის შეღავათს, ერთიან ეროვნულ გამოცდების საფუძველზე შსსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში;

- 2.11 *Army Card* - სს „საქართველოს ბანკის“ მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე გაცემული ბარათი;
- 2.12 *სოციალური გრანტი* - საქართველოს მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემული სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.

მუხლი 3. ფასდაკლების გავრცელების ფარგლები

- 3.1 ფასდაკლება ვრცელდება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისათვის 8 აქტიური სემესტრი, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის 4 აქტიური სემესტრი, ხოლო სადოქტორო პროგრამის სტუდენტისათვის 6 აქტიური სემესტრი და მოიცავს სემესტრში 30 კრედიტს.
- 3.2 ფასდაკლებით მოსარგებლე სტუდენტისათვის, რომლებიც შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოვიდნენ მობილობის წესით, ფასდაკლების გავრცელების ფარგლები მოიცავს შხსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვიდან აკადემიური ხარისხის მინიჭებამდე პროგრამით განსაზღვრულ დარჩენილ პერიოდს, სემესტრში 30 კრედიტის ოდენობით.

მუხლი 4. ფასდაკლებით სარგებლობის უფლების მქონე პირები

- 4.1 სკოლასთან დაკავშირებული პირები:
 - 4.1.1 შხსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე, რომელმაც დაამთავრა სკოლა (გარდა ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლისა);
 - 4.1.2 საქართველოს მოქალაქე სკოლის კურსდამთავრებული, რომელიც მობილობის წესით ჩაირიცხა შხსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე (გარდა ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლისა);
 - 4.1.3 სკოლის თანამშრომელი, თანამშრომლის მეუღლე/შვილი, რომელიც ჩაირიცხა შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 4.2 შხსუ-სთან დაკავშირებული პირები:
 - 4.2.1 შხსუ-ს კურსდამთავრებული, თანამშრომელი, თანამშრომლის მეუღლე/შვილი, რომელიც ჩაირიცხა შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- 4.2.2 პირები, რომლებმაც უმაღლესი ქულები დააგროვეს შხსუ-ს მიერ ჩატარებულ სასკოლო ოლიმპიადაში.
- 4.3 შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის ფინანსური შეღავათის მოპოვების სხვა საფუძვლები:
- 4.3.1 საქართველოს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობა;
 - 4.3.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადში პირველ არჩევანად შხსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის მონიშვნა;
 - 4.3.3 ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებში განსაზღვრული რეიტინგის მოპოვება R33L01-ის შესაბამისად;
 - 4.3.4 პირები ერთი ოჯახიდან;
 - 4.3.5 საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შემავალი სპორტსმენი, ეროვნულ ნაკრებში ყოფნის მანძილზე;
 - 4.3.6 სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა შხსუ-ს მიერ განსაზღვრულ ვადებში;
 - 4.3.7 სახელმწიფო სასწავლო და/ან სახელმწიფო/ კერძო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი;
 - 4.3.8 პირები, რომლებმაც შხსუ-ში გაიარეს უფასო ინგლისური ენის კურსები;
 - 4.3.9 მე-12 კლასელთათვის შხსუ-ს მიერ ჩატარებული ყოველწლიურ კონკურსზე „სად? რა? როდის?“ გამარჯვებული;
 - 4.3.10 Army Card-ით გადახდის შემთხვევაში ბარათის მფლობელი, მისი მეუღლე/შვილი;
 - 4.3.11 TOEFL-ის, GMAT-ისა და GRE-ის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი შხსუ-ს დოქტორანტი, რომელიც ამავდროულად შხსუ-ში დასაქმებულია ადმინისტრაციულ პოზიციაზე (R33L01 – #02.03 – 02.05);
 - 4.3.12 შხსუ-სთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სკოლადამთავრებული;
 - 4.3.13 ბათუმის რ.შაჰინის სახელობის ლიცეუმის მე-12 კლასის მოსწავლეები;
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2017 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით - #4 ოქმით.
 - 4.3.14 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხული სოციალური გრანტის მქონე სტუდენტები, რომლებმაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #1.

4.3.15 არქიტექტურაში შზსუ-ს მიერ ჩატარებული ოლიმპიადის მონაწილეები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #6.

მუხლი 5. ფასდაკლებით სარგებლობის პირობები

- 5.1 სტუდენტი, რომელსაც ეკუთვნის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფასდაკლებებიდან რამდენიმე, ისარგებლებს ყველაზე მაღალი ფასდაკლებით. დაუშვებელია ერთდროულად რამოდენიმე ფასდაკლებით სარგებლობა, გარდა 5.2 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლებისა.
- 5.2 ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ორი სახის ფასდაკლების გამოყენება „პირველი არჩევანის ფასდაკლება“ (პუნქტი 4.3.2) და „ოჯახის წევრის ფასდაკლება“ (პუნქტი 4.3.4).

მუხლი 6. ფასდაკლების გაუქმების საფუძვლები

- 6.1 თუ ფასდაკლების მქონე სტუდენტის სწავლის პერიოდი გახანგრძლივდა და მან ვერ დაასრულა სწავლა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში, მის მიერ სწავლის საფასურის გადახდა დარჩენილ პერიოდში განხორციელდება ფასდაკლების გარეშე, მოცემული პერიოდისათვის დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობისა და წესის შესაბამისად.
- 6.2 ის სტუდენტები, რომლებიც სარგებლობენ 4.2.2, 4.3.1 და 4.3.7 პუნქტებით განსაზღვრული ფასდაკლებით, აკადემიური მოსწრების დამრგვალებული საშუალო ქულის 80-ზე ქვევით დაწევის შეთხვევაში, შემდგომ აკადემიურ წელს აღნიშნული ფასდაკლებით ვერ ისარგებლებენ.

მუხლი 7. სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და ფასდაკლების ერთად გამოყენების წესი

- 7.1 თუ აბიტურიენტს მოპოვებული აქვს როგორც სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ასევე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ფასდაკლებით სარგებლობის უფლება, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ფასდაკლება გავრცელდება გრანტის თანხის გამოკლების შემდეგ დარჩენილ სწავლის საფასურზე.

მუხლი 8. სტიპენდიის მიღების წესი

- 8.1 შზსუ-ს სტიპენდიის მიღების უფლება აქვს სტუდენტს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებში განსაზღვრული რეიტინგი მოიპოვა. სტიპენდიის ოდენობა არის 200 და 100 ლარი. ამასთან, სტუდენტი შემდგომ აკადემიურ წელს კარგავს სტიპენდიის მიღების უფლებას, თუ მისი დამრგვალებული საშუალო აკადემიური მოსწრება 91-ზე ნაკლებია.

მუხლი 9. სადოქტორო პროგრამაზე უფასოდ სწავლის უფლების მოპოვების წესი

9.1 შხსუ-ს დოქტორანტი შხსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ისწავლის უფასოდ, თუ წარმოადგენს ერთ-ერთ შემდეგ სერტიფიკატს:

- 9.1.1 ბიზნესის მართვის ფაკულტეტი GMAT-ს (მინიმალური ქულა 550);
- 9.1.2 სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი TOFEL (მინიმალური ქულა 100);
- 9.1.3 განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ELTS - (მინიმალური ქულა - 7.5), CAE, CPE;
- 9.1.4 კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი - GRE-ს (მინიმალური ქულა 155).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #4

მუხლი 10. ფასდაკლების გამოყენების წესი

10.1 წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ნებისმიერი ფასდაკლების მოპოვების შემთხვევაში, აბიტურიენტმა/სტუდენტმა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა მიმართოს სტუდენტურ საქმეთა განყოფილებას. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის კვირის ბოლომდე სტუდენტი არ წარადგენს სასურველ განაცხადს, ის ავტომატურად კარგავს მიმდინარე სემესტრისათვის მის მიერ მოპოვებულ უფლებას ფასდაკლებით სარგებლობის შესახებ.

10.2 სტუდენტი, სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტისათვის, ვერ ხვდება წინამდებარე წესით განსაზღვრული ფასდაკლებების გამოყენების უფლებამოსილ პირთა წრეში, ასეთი უფლების წარმოშობის შემთხვევაში უფლებამოსილია ფასდაკლების გავრცელების თაობაზე განცხადებით მიმართოს შხსუ-ს კანცლერს (R03F57).

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1 წინამდებარე დებულება ეფუძნება შეღავათებისა და წახალისების შესახებ შხსუ-ს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ფასდაკლებებთან და სტიპენდიებთან დაკავშირებული დეტალური საკითხები (როგორცაა კონკრეტული ფასდაკლების ოდენობა, რეიტინგის, ტურის, კატეგორიის და ა.შ განსაზღვრა) განისაზღვრება შხსუ-ს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით.

11.2 დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს შეღავათებისა და წახალისების შესახებ შხსუ-ს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და უნდა დამტკიცდეს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 12. ძალაში შესვლა

- 12.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მუხლი 13. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 13.1 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება კანცლერის მიერ.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსს-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შსს უყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

